

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკა

1. მიზანი

1.1. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ („სსე“ ან „კომპანია“) იღებს ვალდებულებას, რომ დროულად, ფაქტობრივად და ზუსტად გაამჟღავნოს „კომპანიის“ შესახებ ყველა არსებითი ინფორმაცია. წინამდებარე ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკის („პოლიტიკა“) მიზანია უზრუნველყოს, რომ „სსე“-ს შესახებ არსებითი ინფორმაცია გამჟღავნდეს დროულად, თანმიმდევრული და შესაბამისი ფორმით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და დაიცვას და აღკვეთოს ასეთი არსებითი ინფორმაციის არასათანადო გამოყენება ან გამჟღავნება.

2. გამოყენება

2.1. წინამდებარე „პოლიტიკა“ ვრცელდება „სამეთვალყურეო საბჭოსა“ და დირექტორთა საბჭოს ყველა წევრზე, „გენერალურ დირექტორსა“ და „კომპანიის“ თანამშრომლებზე, მათ შორის იმ პირებზე, რომლებსაც აქვთ „სსე“-ს სახელით საუბრის უფლებამოსილება. აღნიშნული გამოიყენება და ვრცელდება საზოგადოებასთან კომუნიკაციის ყველა მეთოდზე, მათ შორის წერილობით, ზეპირ და ელექტრონულ კომუნიკაციებზე.

3. ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1. საჭიროების შემთხვევაში, არსებითი ინფორმაცია დაუყოვნებლივ გასაჯაროვდება საინფორმაციო პრეს-რელიზებში ან სხვა ფართოდ გავრცელებული გამჟღავნების დოკუმენტით. ერთადერთი გამონაკლისი არის შეზღუდული გარემოებები, როდესაც რეგულაცია ითვალისწინებს კონფიდენციალობის დაცვას დროის გარკვეული პერიოდით და მარეგულირებელი დოკუმენტების წარდგენას კონფიდენციალობის საფუძველზე.

3.2. გამჟღავნება უნდა მოიცავდეს ნებისმიერ ინფორმაციას, რომლის გამოტოვებამ შესაძლოა გამოიწვიოს დანარჩენი გამჟღავნებული ინფორმაციის დამახინჯება. არახელსაყრელი ინფორმაცია გამჟღავნდება დაუყოვნებლივ, ისევე როგორც ხელსაყრელი ინფორმაცია.

3.3. დასაქმებულები მიმართავენ ძალისხმევას იმის უზრუნველსაყოფად, რომ კონფიდენციალური ინფორმაცია დაცული იყოს მის გასაჯაროებამდე.

3.4. იმ შემთხვევაში, თუ „სსე“ შეიტყობს, რომ გამჟღავნების დოკუმენტი მოიცავდა არსებით შეცდომას, აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა შესწორდეს საინფორმაციო საშუალებებით ან სხვა შესაბამისი გამოსწორების ღონისძიების გამოყენებით.

3.5. „კომპანიის“ ვებ-გვერდი გამოყენებულ იქნება ინფორმაციის გავრცელების გასაუმჯობესებლად, საინფორმაციო ახალი ამბების, მარეგულირებელი ან ფინანსური ანგარიშების ან გამჟღავნების სხვა დოკუმენტებისა და ხელმძღვანელი პირების პრეზენტაციების გამოქვეყნების პარალელურად ინფორმაციის განთავსებით გზით.

3.6. „არსებითი ინფორმაციის“ გამჟღავნება თანმიმდევრული იქნება ყველა სახის აუდიტორიის, მათ შორის საინვესტიციო წრის, მედიის, კლიენტებისა და თანამშრომლების მიმართ.

3.7. დირექტორთა საბჭოს ყველა წევრი და „სსე“-ს თანამშრომლები ვალდებული არიან „გენერალურ დირექტორს“ ან „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების“ ხელმძღვანელს ან „აუდიტის კომიტეტის“ სხვა წევრს აცნობონ არსებითი მოვლენების შესახებ. „აუდიტის კომიტეტის“ წევრები ასევე ზედამხედველობას გაუწევენ „კომპანიის“ ბიზნესსა და საქმიანობასთან დაკავშირებულ არსებით მოვლენებს.

3.8. არასაჯარო არსებითი ინფორმაციის გამჟღავნება ნებადართული იქნება მხოლოდ იმ მხარეებისთვის, რომლებსაც ხელმოწერილი აქვთ კონფიდენციალობის დაცვის ხელშეკრულება „სსე“-სთან ან მხარეებისთვის, რომლებიც ექვემდებარებიან კონფიდენციალობის დაცვის პროფესიული ქცევის ვალდებულებებს, როგორებიც არიან იურისტები, ბუღალტრები, სარეიტინგო სააგენტოები და მარეგულირებლები.

4. განსაზღვრებები

- 4.1. „აუდიტის კომიტეტი“ ნიშნავს „სსე“-ს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტს.
- 4.2. „სამეთვალყურეო საბჭო“ ნიშნავს „სსე“-ს სამეთვალყურეო საბჭოს.
- 4.3. „გენერალური დირექტორი“ ნიშნავს „სსე“-ს გენერალურ დირექტორს.
- 4.4. „ფინანსური დირექტორი“ ნიშნავს „სსე“-ს ფინანსურ დირექტორს.
- 4.5. „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება“ ნიშნავს „კომპანიის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.
- 4.6. „სსე-ს პერსონალი“ ნიშნავს „სსე“-ს დირექტორთა საბჭოს ყველა წევრს, „გენერალურ დირექტორს“, დასაქმებულებსა და წარმომადგენლებს.
- 4.7. „არსებითი ინფორმაცია“ განიმარტება 5.1. პუნქტში განსაზღვრული მნიშვნელობით.

5. არსებითობის განსაზღვრა

5.1. „არსებითი ინფორმაცია“ ნიშნავს ინფორმაციას „სსე“-ს საქმიანობისა და საქმეების შესახებ, რომელიც იწვევს ან გონივრულობისამებრ მოსალოდნელია გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილება „კომპანიის“ ფასიანი ქაღალდების ღირებულებაში ან საბაზრო ფასში, საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის შემთხვევაში. ასეთი ინფორმაციის მაგალითები მოყვანილია ქვემოთ:

- (ა) წლიური ან კვარტალური ფინანსური შედეგები;
- (ბ) მნიშვნელოვანი ცვლილებები საოპერაციო ან ფინანსურ გარემოებებში, როგორცაა მსხვილი ჩამოწერები, ცვლილებები დაგეგმილ შემოსავლებში, მნიშვნელოვანი ახალი კონტრაქტის გაფორმება ან მნიშვნელოვანი კონტრაქტის დაკარგვა;
- (გ) მნიშვნელოვანი ცვლილებები მენეჯმენტში;
- (დ) მნიშვნელოვანი დავა;
- (ე) მსხვილი შრომითი დავა ან დავა მთავარ კონტრაქტორთან ან მომწოდებელთან;
- (ვ) მნიშვნელოვანი ცვლილება კაპიტალის საინვესტიციო გეგმებში ან კორპორაციულ მიზნებში;
- (ზ) ნებისმიერი მნიშვნელოვანი მარეგულირებელი სიახლე;

- (თ) ცვლილება კაპიტალის სტრუქტურაში, მათ შორის „კომპანიის“ ფასიანი ქაღალდების საჯარო ან კერძო გაყიდვა ან ცვლილება კორპორაციულ სტრუქტურაში, რომელიც გავლენას ახდენს „კომპანიის“ კონტროლზე;
- (ი) მნიშვნელოვანი ოდენობის სესხის აღება;
- (კ) მნიშვნელოვანი კორპორაციული შექმნა ან განკარგვა; და
- (ლ) საფინანსო ან სხვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობა.

ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. სხვა ინფორმაცია ასევე შესაძლოა წარმოადგენდეს „კომპანიის“ არსებით ინფორმაციას.

5.2. მნიშვნელოვანია „აუდიტის კომიტეტი“ ინფორმირებული იყოს არსებითი მოვლენებისა და ცვლილებების შესახებ. „სსე-ს პერსონალი“, რომლისთვისაც ცნობილი გახდება ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს არსებით ინფორმაციას, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების“ ხელმძღვანელს, რომელიც დაუკავშირდება „აუდიტის კომიტეტის“ წევრებს საჭიროების მიხედვით.

5.3. ზოგადად, „სსე“-ს ფარგლებში მიმდინარე მოვლენები, რომლებიც წარმოადგენს არსებით ინფორმაციას ექვემდებარება გასაჯაროებას კანონმდებლობის შესაბამისად. „არსებითი ინფორმაციის“ გასაჯაროება შესაძლოა დაყოვნდეს იმ ვითარებაში, როდესაც „არსებითი ინფორმაციის“ აღრეულმა გასაჯაროებამ შესაძლოა არასათანადო ზიანი მიაყენოს „კომპანიის“ ინტერესებს.

5.4. გადაწყვეტილებებს არსებითობისა და გასაჯაროების შესახებ იღებს „გენერალური დირექტორი“ ან „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების“ ხელმძღვანელი ან უფლებამოსილი პირი. იმ ვითარებაში, როდესაც ასეთი გადაწყვეტილებები არ არის მკაფიო, „გენერალური დირექტორი“ ან „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების“ ხელმძღვანელი ან უფლებამოსილი პირი აღნიშნულ საკითხს განიხილავს „აუდიტის კომიტეტის“ იმდენ წევრთან, რამდენსაც ის მიზანშეწონილად და გონივრულად ჩათვლის მოცემულ სიტუაციაში, ამასთან შესაძლოა კონსულტირება „კომპანიის“ გარე იურიდიულ და ფინანსურ მრჩეველებთან. იმ შემთხვევაში, თუ გარემოება ჩაითვლება არსებითად, „გენერალური დირექტორი“ ან „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების“ ხელმძღვანელი სულ მცირე სხვა ერთ წევრთან ერთად უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროებას წინამდებარე „პოლიტიკის“ შესაბამისად.

5.5. არსებითობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, „სსე“ გაითვალისწინებს თავად ინფორმაციის ბუნებას. აღნიშნული ფაქტორები განიხილება და მხედველობაში იქნება მიღებული სხვა შესაბამის ფაქტორებთან ერთად, როგორც ეს მოითხოვება ცალკეულ შემთხვევებში.

6. აუდიტის კომიტეტის ფუნქცია

6.1. „აუდიტის კომიტეტი“ წარუდგენს სახელმძღვანელო მითითებებს გენერალურ დირექტორს (i) იმის განსაზღვრისას, არის თუ არა ინფორმაცია არსებითი; (ii) იმის განსაზღვრისას, შესაძლებელია თუ არა არსებითი ინფორმაცია წარმოადგენდეს არსებით ცვლილებას; და (iii) არსებითი ინფორმაციის დროული გამჟღავნების უზრუნველსაყოფად, როგორც ამას მოითხოვს კანონმდებლობა, რეგულაციები და წესები, რომლებიც ვრცელდება „სსე“-ზე; და (iv) ფინანსურ ანგარიშგებაზე შიდა კონტროლის ეფექტური სისტემების შექმნისა და შენარჩუნების და გამჟღავნების კონტროლისა და პროცედურების ზედამხედველობისთვის,

როგორც ამას მოითხოვს კანონმდებლობა, რეგულაციები და წესები, რომლებიც ვრცელდება „სსე“-ზე.

7. პრეს-რელიზები

7.1. არსებითი ინფორმაცია გასაჯაროვდება პრეს-რელიზებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებითი ინფორმაცია უნებლიედ შერჩეულ ფორუმზე გავრცელდება, „სსე“ დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებს ახალ პრეს-რელიზს აღნიშნული ინფორმაციის სრულად გასაჯაროებისთვის.

7.2. ფინანსური შედეგები გამოქვეყნებამდე წინასწარ განიხილება „ფინანსური დირექტორისა“ და „აუდიტის კომიტეტი“ მიერ და „ფინანსური დირექტორისა“ და „აუდიტის კომიტეტის“ და (წლიურ ანგარიშებთან დაკავშირებით) საბჭოს მიერ დამტკიცებიდან შემდგომ დაგვარად მოკლე ვადაში გასაჯაროვდება.

7.3. პრეს-რელიზები გავრცელდება ნებადართული საინფორმაციო არხებით, რაც უზრუნველყოფს ერთდროულად ეროვნულ და/ან საერთაშორისო გავრცელებას. პრეს-რელიზები განთავსდება „კომპანიის“ ვებ-გვერდზე საინფორმაციო არხების საშუალებით გავრცელებისთანავე.

8. გასაჯაროების დოკუმენტები

8.1. როდესაც „სსე“ განახორციელებს ფასიანი ქაღალდების/ობლიგაციების საჯარო შეთავაზებას, ის ვალდებული იქნება გამოსცეს პროსპექტი. პროსპექტი უნდა მოიცავდეს სრულ და ზუსტ ინფორმაციას „სსე“-ს მიერ განთავსებულ ფასიან ქაღალდებთან/ობლიგაციებთან დაკავშირებული არსებითი ფაქტების ფორმულირებით. ეს ნიშნავს, რომ პროსპექტი არ უნდა მოიცავდეს არსებითი ფაქტის შესახებ მცდარ განცხადებას, ასევე არ უნდა იქნას გამოტოვებული არსებითი ფაქტი, რომლის მითითება მოითხოვება ან საჭიროა ისეთი განცხადების გასაკეთებლად, რომელიც არ იქნება შეცდომაში შემყვანი იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომელშიც გაკეთდა ასეთი განცხადება.

8.2. „გენერალური დირექტორი“ და „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების“ ხელმძღვანელი საბოლოოდ პასუხისმგებელი არიან „კომპანიის“ ინფორმაციის გასაჯაროებაზე. ისინი ზედამხედველობას უწევენ ინფორმაციის გამჟღავნების კონტროლის მექანიზმებსა და პროცედურებს აღნიშნული გამჟღავნების წარმოქმნასთან დაკავშირებით. „აუდიტის კომიტეტი“ ზედამხედველობას გაუწევს აღნიშნული კონტროლის მექანიზმებისა და პროცედურების განხორციელებას.

9. უფლებამოსილი წარმომადგენლები

9.1. „გენერალური დირექტორი“ და „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების“ ხელმძღვანელი იქნებიან ოფიციალური წარმომადგენლები, რომ ისაუბრონ „სსე“-ს სახელით. პირებს, რომლებიც იკავებენ აღნიშნულ თანამდებობებს, შეუძლიათ პერიოდულად დანიშნონ სხვა პირები, რომლებიც სათადარიგოდ წარდგებიან „სსე“-ს სახელით კონკრეტულ კითხვებზე საპასუხოდ.

9.2. „სამეთვალყურეო საბჭოს“ თავმჯდომარე ისაუბრებს „სამეთვალყურეო საბჭოს სახელით, როგორც „კომპანიაში“ ისე მის ფარგლებს გარეთ, მოთხოვნიდან გამომდინარე.

9.3. „სსე“-ს პერსონალმა“ და დირექტორებმა, რომლებიც არ არიან უფლებამოსილი წარმომადგენლები, არცერთ შემთხვევაში არ უნდა უპასუხოთ მედია საშუალებების ან სხვა

პირების შეკითხვებს, თუ ამას სპეციალურად არ სთხოვს უფლებამოსილი წარმომადგენელი. ყველა ასეთი შეკითხვა უნდა მიემართოს „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების“ მენეჯერს.

10. საჯარო გამოსვლები და განცხადებები

10.1. მოწვევები საჯარო გამოსვლაზე ან განცხადებების გაკეთებაზე „კომპანიის“ საქმიანობასთან ან ოპერაციებთან დაკავშირებით, კონფერენციებზე ან სხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებში, რომლებსაც შესაძლოა ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები, დარგის წარმომადგენლები, მთავრობის წარმომადგენლები ან მედია საშუალებები, ან რომლებიც მოსალოდნელია, რომ ხელმისაწვდომი გახდეს ზემოთ ჩამოთვლილთათვის, წინასწარ, თანხმობის გაცხადებამდე უნდა იქნას ნებადართული უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, და ნებისმიერი ასეთი სიტყვის ან პრეზენტაციის შინაარსი უნდა განიხილოს და დაამტკიცოს უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ან მის მიერ დანიშნულმა პირმა.

11. რეაგირება გავრცელებულ ხმებზე

11.1. ზოგადად, „კომპანიის“ პოლიტიკაა, რომ კომენტარის გაკეთების მოთხოვნის შემთხვევაში არც დაადასტუროს და არც უარყოს გავრცელებული ხმები. „კომპანიის“ უფლებამოსილი წარმომადგენლები შემოიფარგლებიან პასუხით, რომ „კომპანიის“ პოლიტიკის მიხედვით კომენტარი არ კეთდება გავრცელებულ ხმებთან დაკავშირებით. თუმცა, „გენერალური დირექტორის“, „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების“ ხელმძღვანელის ან „აუდიტის კომიტეტის“ ან მათი შესაბამისი ქვედანაყოფის ნებართვით, უფლებამოსილ წარმომადგენლებს შეუძლიათ გააკეთონ გამონაკლისი და უპასუხონ კონკრეტულ ჭორებს, რომლებმაც შესაძლოა ზიანი მიაყენონ „კომპანიის“ ინტერესებს თუ მათი უარყოფა არ მოხდება.

12. მომავალზე ორიენტირებული ინფორმაცია

12.1. „სსე“-მ შესაძლოა პერიოდულად გამოაქვეყნოს მომავალზე ორიენტირებული ინფორმაცია პრეს-რელიზებში, ზეპირად და სხვა მასალებში მარეგულირებლებისთვის ან სხვა დაინტერესებული პირებისთვის „კომპანიისა“ და მისი პერსპექტივების უკეთ შეფასების მიზნით. „სსე“-ს უნდა ჰქონდეს მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის გამოქვეყნების სათანადო საფუძველი. ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია მკაფიოდ უნდა იქნას იდენტიფიცირებული, როგორც მომავალზე ორიენტირებული ინფორმაცია და თან უნდა დაერთოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ტექსტი. მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის ყველა ახალი გასაჯაროება უნდა დაამტკიცოს ჩამოთვლილთაგან ერთმა ან მეტმა პირმა: „გენერალური დირექტორი“, „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების“ ხელმძღვანელი ან „აუდიტის კომიტეტი“.

13. გამჟღავნების შესახებ ჩანაწერი

12.1. „კომპანიამ“ სულ მცირე 7 წლის ან უფრო ხანგრძლივი ვადით, როგორც ამას მოითხოვს მოქმედი კანონმდებლობა, უნდა შეინახოს ფაილი, რომელიც მოიცავს საჯარო ინფორმაციას „სსე“-ს შესახებ, მათ შორის მიმდინარე ინფორმაციის გამჟღავნების დოკუმენტებს, მედია განცხადებებს, ანალიტიკოსების ანგარიშებს, ანალიტიკოსებთან და ინვესტორებთან გამართული კრებების და სატელეფონო საუბრების ოქმებს, მოხსენებებით ჩანაწერებს და საგაზეთო სტატიებს.

14. ელექტრონული კომუნიკაცია და სოციალური მედია

14.1. იმის უზრუნველსაყოფად, რომ „არსებითი ინფორმაცია“ დაუდევრობით არ იქნას გამჟღავნებული, „სსე-ს პერსონალს“, მე-9 პუნქტის შესაბამისად უფლებამოსილი პირების გარდა, ეკრძალებათ მონაწილეობა მიიღონ ონლაინ კომუნიკაციებში, მათ შორის სოციალურ მედია ქსელებში, ინტერნეტ „ჩატში“ ან ახალი ამბების ჯგუფის დისკუსიებში, ან სხვაგვარად გამოიყენონ სხვადასხვა სოციალური მედია „სსე“-თან დაკავშირებული საკითხების განსახილველად. „სსე-ს პერსონალს“ ასევე მკაცრად ეკრძალება მონაწილეობა მიიღოს სოციალურ მედია ქსელებში, ინტერნეტ „ჩატში“ ან ახალი ამბების ჯგუფის დისკუსიებში „კომპანიის“ კონკურენტებთან ან კომუნალური მომსახურების ინდუსტრიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

15. კონფიდენციალობის დაცვა

15.1. ნებისმიერ „სსე-ს პერსონალს“, რომელსაც აქვს წვდომა კონფიდენციალურ ინფორმაციაზე (იმის მიუხედავად ასეთი ინფორმაცია ასევე არის თუ არა არსებითი ინფორმაცია) ეკრძალება ასეთი ინფორმაცია გაუმჟღავნოს სხვა პირს, გარდა „სსე“-ს უფლებამოსილი პერსონალის ან „სსე“-ს უფლებამოსილი წარმომადგენლებისა, რომლებსაც აქვთ ასეთი ინფორმაციის ცოდნის კანონიერი აუცილებლობა მათ მოვალეობებთან დაკავშირებით და რომლებიც ინფორმირებულები არიან აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალური ბუნების შესახებ. არცერთმა პირმა, რომელიც ფლობს კონფიდენციალურ ინფორმაციას, არ უნდა გაუმჟღავნოს ეს ინფორმაცია გარეშე მხარეს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მისი გამჟღავნება საჭიროა საქმიანობის წარმოების პროცესში.

15.2. წინამდებარე „პოლიტიკის“ მიზნებისთვის, ტერმინი „კონფიდენციალური ინფორმაცია“ გულისხმობს ყველა ინფორმაციას, რომელიც არის არასაჯარო, კონფიდენციალური ან საიდუმლო თავისი არსით, ნებისმიერ ფორმატში (მათ შორის წერილობითი, ზეპირი, ვიზუალური, ელექტრონული ან სხვა ფორმით) და რომელიც თქვენ გაგიმჟღავნათ „სსე“-მ, ამ უკანასკნელთან თქვენი ურთიერთობის შედეგად, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს შემდეგს:

- (ა) ყველა ინფორმაცია „კომპანიის“ საქმიან ურთიერთობებთან ან „სსე-ს პერსონალთან“ დაკავშირებით;
- (ბ) ყველა ბიზნეს გეგმა, სტრატეგიები, ფინანსური მონაცემები, ხარჯები, ინფორმაცია გაყიდვების შესახებ, ფინანსური შედეგები, სამართლებრივი და სახელმშეკრულებო საკითხები; და
- (გ) ყველა საფასო ჩამონათვალი, მარკეტინგული და გაყიდვების გეგმები, საოპერაციო პროცესები, ტრენინგის და ცოდნის ბაზის მასალები, შიდა მოხსენებები და ანალიტიკური დოკუმენტები.

15.3. კონფიდენციალური ინფორმაცია არ მოიცავს ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი, იმ პირობით, თუ არ მოხდა მისი უნებართვოდ გამჟღავნება ან რომელსაც მოგაწვდით სხვა წყარო და არა „სსე“ (იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ინფორმაციის წყაროს არ ეკრძალებოდა თქვენთვის აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება). იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე თანამშრომელი არ არის დარწმუნებული არის თუ არა ინფორმაცია კონფიდენციალური, მან ინფორმაცია არ უნდა გაამჟღავნოს თავის მენეჯერთან, „გენერალურ დირექტორთან“, „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების“ ხელმძღვანელთან ან „აუდიტის კომიტეტის“ წევრთან კონსულტაციის გარეშე.

15.4. გარეშე მხარეებს, რომლებსაც აქვთ წვდომა „სსე“-ს შესახებ გაუმჟღავნებელ „არსებითი ინფორმაციაზე“, უნდა მიეთითოთ, რომ არ გაუმჟღავნონ აღნიშნული „არსებითი ინფორმაცია“

არავის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მისი გამჟღავნება საჭირო იქნება საქმიანობის შესრულების პროცესში.

15.5. „არსებითი ინფორმაციის“ ხელყოფის ან დაუდევრად გამჟღავნების პრევენციის მიზნით ყოველთვის უნდა იყოს დაცული შემდეგი პროცედურები:

- (ა) დოკუმენტები და ფაილები, რომლებიც შეიცავენ კონფიდენციალურ ინფორმაციას, შენახული უნდა იყოს უსაფრთხო ადგილებში, რომლებზეც წვდომა მხოლოდ კომპეტენტურ პირებს აქვთ.
- (ბ) კონფიდენციალური საკითხები არ უნდა იქნას განხილული საზოგადოებრივ ადგილებში, სადაც შესაძლებელია საუბრების მოსმენა, მაგალითად, ლიფტებში, დერეფნებში, რესტორნებში, თვითმფრინავებსა და ტაქსებში.
- (გ) კონფიდენციალური საკითხები არ უნდა იქნას განხილული დაუცველ უსადენო ტელეფონებში ან სხვა დაუცველ უსადენო მოწყობილობებში.
- (დ) კონფიდენციალური დოკუმენტები არ უნდა იქნას წაკითხული ან ნაჩვენები საზოგადოებრივ ადგილებში და გადაყრილი ისეთ ადგილას, სადაც სხვა პირებს შეუძლიათ მათი ამოღება.
- (ე) „სსე-ს პერსონალმა“ უნდა უზრუნველყოს მათ ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა, როგორც ოფისის გარეთ, ისე მის სივრცეში.
- (ვ) დოკუმენტების გადაცემა ელექტრონული საშუალებებით, როგორცაა ფაქსი ან ელ-ფოსტა, უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ გადაცემა და მიღება შესაძლებელია უსაფრთხო პირობებში.
- (ზ) წვდომა კონფიდენციალურ ელექტრონულ მონაცემებზე უნდა შეიზღუდოს დაშვების სიტყვების გამოყენებით.
- (თ) თავიდან უნდა იქნას აცილებული კონფიდენციალური დოკუმენტების არასაჭირო გამრავლება და დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ კონფიდენციალურ ინფორმაციას, დაუყოვნებლივ უნდა იქნას გატანილი საკონფერენციო დარბაზიდან და სამუშაო სივრციდან კრების დასრულების შემდეგ. კონფიდენციალური დოკუმენტების დამატებითი ასლები უნდა დაქუცმაცდეს ან სხვაგვარად განადგურდეს.

16. მითითებები შვილობილი კომპანიების მიერ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით

16.1. შვილობილი კომპანიის ნებისმიერი პრეს-რელიზი წინასწარ უნდა დაამტკიცოს „გენერალურმა დირექტორმა“ ან „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების“ ხელმძღვანელმა.

17. პირადი პასუხისმგებლობა და აღსრულება

17.1. ყველა „სსე-ს პერსონალს“ გადაეცემა წინამდებარე „პოლიტიკის“ ასლი და ინფორმირებული იქნება მისი მნიშვნელობის შესახებ.

17.2. „გენერალური დირექტორისა“ და დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობაა, უზრუნველყოს „სსე“-ს ყველა თანამშრომლის მიერ წინამდებარე „პოლიტიკის“ გაცნობა და შესრულება. წინამდებარე „პოლიტიკაში“ მითითებული წესების და პროცედურების დაცვას ძირეული მნიშვნელობა აქვს „სსე“-ს რეპუტაციისთვის და მისი განგრძობადი წარმატებისთვის.

17.3. ნებისმიერმა „სსე-ს პერსონალმა“ ან სხვა პირმა, რომელსაც სურს განაცხადოს საეჭვო არასათანადო ქმედების და/ან არასწორი ქცევის და/ან წინამდებარე „პოლიტიკის“ დარღვევის

შესახებ, უნდა გამოიყენოს „სსე“-ს „მამხილებლის პოლიტიკა“ შესასრულებელი პროცედურების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

17.4. ნებისმიერ „სსე-ს პერსონალს“, რომელიც დაარღვევს წინამდებარე „პოლიტიკას“, შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი, მათ შორის „სსე“-თან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. წინამდებარე „პოლიტიკის“ დარღვევა შესაძლოა ასევე იწვევდეს კონკრეტული კანონის დარღვევას. თუ აღმოჩნდება, რომ „სსე-ს პერსონალმა“ დაარღვია ამგვარი კანონი, „სსე“-ს უფლება აქვს საკითხი გადასცეს შესაბამის მარეგულირებელ უწყებებს, რომლებმაც შესაძლოა დააწესონ ჯარიმები, საურავები და/ან თავისუფლების აღკვეთა.

18. ყოველწლიური დადასტურება

18.1. „სსე-ს პერსონალმა“ ყოველწლიურად უნდა დაადასტუროს, რომ (i) მათ წაიკითხეს, გააცნობიერეს და იკისრეს წინამდებარე „პოლიტიკის“ დაცვის ვალდებულება, (ii) მათთვის არ არის ცნობილი „პოლიტიკის“ რაიმე დარღვევის შესახებ, და (iii) ისინი იღებენ ვალდებულებას, დაუყოვნებლივ აცნობონ ნებისმიერი ფაქტობრივი ან გონივრული საეჭვო დარღვევის შესახებ ადამიანური რესურსების დეპარტამენტს.

18.2. ადამიანური რესურსების დეპარტამენტი ითანამშრომლებს სხვა დეპარტამენტებთან „კომპანიის“ ფარგლებში, რამდენადაც ეს საჭიროა ყოველწლიური დადასტურების პროცესის კოორდინაციისთვის.

19. ძალაში შესვლის თარიღი

წინამდებარე „პოლიტიკა“ დაამტკიცა „სამეთვალყურეო საბჭომ“ 2021 წლის 27 ივლისს და ძალაშია აღნიშნული თარიღიდან.

20. პოლიტიკის გადახედვა

წინამდებარე „პოლიტიკა“ გადაიხედება ყოველწლიურად და მასში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში გასაცნობად წარედგინება „სსე-ს პერსონალს“.

„პოლიტიკის“ გადახედვის ადმინისტრირებას ახორციელებს: „სსე“-ს „აუდიტის კომიტეტი“, „მართვისა და ნომინაციის კომიტეტი“ და „სამეთვალყურეო საბჭო“.

პასუხისმგებელი განყოფილება: „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება“.